მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 29 ივნისის N 62-622218034, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა. (ა). ი. პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“ -ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება 2022 წლის გეგმის მუხლობრივი ცვლილება და გეგმის გაზრდა 22.00 ათ.ლარით. კერძოდ, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 15.50 ათ.ლარით, მივლინება ქვეყნის შიგნით 4.00 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივები, კერძოდ სპორტული საქონელი 2.50 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, კატრიჯების შეძენა და დატუმბვის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.10 ათ.ლარით, შესაბამისად სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.10 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ- 63.632135423 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „რაგბის კლუბი ფენიქსი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135432 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის,

2022 წლის 29 ივნისის N 62-622218040 , წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის რაგბის კლუბი „ფენიქსი“-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2022 წლის შემოსავლების გეგმა იზრდება 10.00 ათ.ლარით და შემოსავლების გეგმა განისაზღვრა სულ 162.00 ათ.ლარით. ხარჯების ნაწილში სუბსიდიის გეგმაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაში კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის თანხა გაიზარდა 5.00 ათ.ლარით და სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 5.00 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, სხვა ხარჯების მუხლიდან, სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული თანხა მცირდება 0,72 ათ. ლარით. შესაბამისად სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0,72 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

აზრი გამოთქვეს: აკაკი მინაშვილმა, ირაკლი მელაშვილმა.

აკაკი მინაშვილი- კომისიაზე იყო მსჯელობა, რომ გუნდს აქვს შანსი გადავიდეს ძლიერ ლიგაში. რისთვისაც ესაჭიროებათ 20,0 ათ. ლარის დამატება. იქნებ გამოიძებნოს და მოხდეს გადაცემა. გუნდის წარმომადგენელი ამბობს, რომ მერე ასეთი შანსი არ ექნებათ, გადასვლის შემთხვევაში 300,0 ათ. ლარით დაფინანსდება თავად ფედერაციიდან.

ირაკლი მელაშვილი - ამ საკითხთან დაკავშირებით იყო მსჯელობა, გუნდის სამომავლო ხედვები გავაცანით მუნიციპალიტეტის მერს და გამოინახა შესაძლებლობა თანხის დამატების. უახლოეს საკრებულოს სხდომაზე მოხდება სუბსიდიის გეგმაში ცვლილება და გაიზრდება გუნდის ბიუჯეტი. მაქსიმალურად დავეხმარებით და დავუდგებით გვერდით.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „რაგბის კლუბი ფენიქსი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135432 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XVIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 17 ივნისის N62-622216835, წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი

„თანადგომა“-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება (რომელიც გამოწვეულია თანამშრომელთა უფასო შვებულებაში ყოფნის გამო) 0.940 ათ.ლარით და შესაბამისად ოფისის ხარჯის მუხლში, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯის თანხა იზრდება 0.940 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XIX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 29 ივნისის N 62-622218039 , წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების“ სახლი“-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, ადგილობრივი ბიუჯეტით გასაწევი ხარჯებიდან, შრომის ანაზღაურების მუხლში თანამდებობრივი სარგოს თანხა მცირდება 1.00 ათ.ლარით და შესაბამისად მივლინების ხარჯის თანხა იზრდება 1.00 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი,

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 29 ივნისის N 62-622218048 , წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში. გაიზარდა მუნიციპალიტეტის შემოსავლების გეგმა სულ - 261.3 ათ. ლარით, კერძოდ:

- ბანკიდან მიღებული დეპოზიტი -151,3 ათ.ლარით.
- ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე -30,0 ათ.ლარით.
- სანებართვო მოსაკრებელი -10.0 ათ. ლარით.
- არაფინანსური აქტივების გეგმა - 70,0 ათ. ლარით.

6 თვის ანალიზიდან გამომდინარე შემცირდა ხარჯების გეგმა სულ - 840,0 ათ. ლარით, კერძოდ:

- (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგიერების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს -100,0 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 100,0 ათ. ლარით. (სულ 200,0 ათ. ლარი).
- (კოდი 02 02 01) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს -103,0 ათ. ლარით.
- (კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს -10,0 ათ. ლარით.
- (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 200,0 ათ. ლარით.
- (კოდი 01 01 02) სამტრედიის მერიის შრომის ანაზღაურების გეგმა შემცირდეს -170,0 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს -57,0 ათ. ლარით.
- (კოდი 01 02 01) სარეზერვო ფონდის სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს - 100,0 ათ. ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს ხარჯების გეგმა - 1,101.3 ათ. ლარით, კერძოდ:

- (კოდი 06 02 04) სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა გაიზარდოს - 185,0 ათ. ლარით;
- (კოდი 06 02 03) დედათა და ბავშვთა დახმარების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა გაიზარდოს - 15,0 ათ. ლარით;
- (კოდი 03 01) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების ხარჯების გეგმა გაიზარდოს სულ 275,0 ათ. ლარით, მათ შორის სუბსიდიის გეგმა - 250.0 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 25,0 ათ.

ლარით;

- (კოდი 03 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს - 42,0 ათ. ლარით;
- კოდი 04 01) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების ხარჯების გეგმა გაიზარდოს სულ 180,0 ათ. ლარით, მათ შორის სუბსიდიის გეგმა - 157,0 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 23,0 ათ. ლარით;
- (კოდი 05 01 02 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის ხარჯების გეგმა გაიზარდოს სულ 22,0 ათ. ლარით, მათ შორის სუბსიდიის გეგმა - 19,5 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 2,5 ათ. ლარით;
- (კოდი 05 01 02 07) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"-ს ხარჯების გეგმა გაიზარდოს - სულ 14,5 ათ. ლარით, მათ შორის არაფინანსური აქტივების გეგმა - 10,0 ათ. ლარით და სუბსიდიის გეგმა - 4,5 ათ. ლარით;
- (კოდი 05 01 02 03) ა.(ა).ი.პ. საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს - 10,0 ათ. ლარით;
- (კოდი 05 01 02 06) ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი "ფენიქსი"-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს - 10,0 ათ. ლარით;
- (კოდი 04 040) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 32,0 ათ. ლარით;
- (კოდი 05 03) შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს - 3,0 ათ. ლარით;
- (კოდი 05 05 02) კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურების გეგმა გაიზარდოს - 5,0 ათ. ლარით და სხვა ხარჯების გეგმა - 10,0 ათ. ლარით;
- (კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის საქონელი და მომსახურების გეგმა - 10,0 ათ. ლარით და სხვა ხარჯების გეგმა - 25,0 ათ. ლარით;
- (კოდი 02 03 05) ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 30,0 ათ. ლარით;
- (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 150,0 ათ. ლარით (მონიტორინგის თანხა);
- (კოდი 03 03) დასუფთავების საქონელი და მომსახურების გეგმა - 20,0 ათ. ლარით;
- (კოდი 05 05 02) კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების გრანტების გეგმა 2.8 ათ. ლარით;
- (კოდი 05 02 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალადის სახელობის კულტურის ცენტრის არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 15,0 ათ. ლარით და სუბსიდიის გეგმა - 5,0 ათ. ლარით (სულ 20,0 ათ. ლარი);
- (კოდი 04 03) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 30,0 ათ. ლარით;

მუხლობრივი ცვლილება:

- (კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების

არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 5,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს საქონელი და მომსახურების გეგმა;

- (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს 100,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა;
- (კოდი 06 02 04) სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების სხვა ხარჯების გეგმა შემცირდეს -106,0 ათ. ლარით შესაბამისად გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის გეგმა.
- (კოდი 04 01) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანების სუბსიდიის გეგმა შემცირდეს - 10,8 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს არაფინანსური აქტივების გეგმა.
- (კოდი 01 01 02) სამტრედიის მერიის შრომის ანაზღაურების გეგმა შემცირდეს -10,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის გეგმა.
- (კოდი 02 02 02) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 17,1 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით) დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XXI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მაისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 9 ივნისის N:62-622216032, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხუთი თვის შესრულებას და შესრულების ანალიზს თანდართული ფორმების მიხედვით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 1659,2 ათასი ლარით.

ხუთ თვეში ბიუჯეტის მიმართ ოთხჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 31547,9 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 12790,1 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 3588,4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 4702,1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -350,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 306,6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის N627 განკარგულებით“, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -660,0 ათასი ლარი.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4047,4 ათ.ლარი, რომელიც განაწილებულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მაისის თვის შემოსავალმა შეადგინა 9804,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 81,8 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 5612,7 ათასი ლარი, რაც მაისის თვის გეგმის 96,6 %-ია, დ.დ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 5368,5 ათასი ლარი გეგმა შესრულდა- 99,8 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 46,5 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 25,8%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 197,7 ათ.ლარი გეგმა შესრულდა -79,1 %-ით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მაისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

ვაჟა სტურუამ ინფორმაციის სახით გააცნო საკრებულოს წევრებს, რომ დღის წესრიგის 22-ე საკითხთან დაკავშირებით, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე, საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა საკრებულოს სხდომაზე, მან ბოდიში მოიხადა ამ ფაქტის გამო. შესაბამისად არგარიშს, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ, წარმოადგენს ქალბატონი მედე ლეჟავა.

დღის წესრიგის XXII საკითხთან დაკავშირებით მომსწენებელმა, მედეა ლეჟავამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

მომსწენებელმა აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ დადგენილი წესით უზრუნველყოფილია 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, რომელიც კანონის ფარგლებში დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20/XII N20 დადგენილებით.

წლის ბიუჯეტის პროექტის რედაქტირება, დამტკიცებული ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა 2022 წლის განმავლობაში საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით უზრუნველყოფილია 4-ჯერ, რაც დამტკიცებულია საკრებულოს შესაბამისი დადგენილებებით.

2022 წლის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდის გეგმიური მოცულობა განისაზღვრა 200.0 ათ.ლარის ოდენობით, დღეის მდგომარეობით შეადგენს 180.0 ათ.ლარი (20.0 ათ.ლარი გამოყოფილი იქნა რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დაზარალებული უკრაინელი ხალხის დასახმარებლად საჭირო ჰუმანიტარული ნივთებისა და მედიკამენტების შესყიდვისათვის).

ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების განწერა თვეებისა და კვარტლების მიხედვით შედგენილია და წლის განმავლობაში საკრებულოს განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად მიმდინარეობს კორექტირება.

ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაციის შეკრება, გაანალიზება და შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება ხდება პერიოდულად კვარტლის შესრულებიდან გამომდინარე.

წლის განმავლობაში მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურდიული პირების (ააიპ) მიერ გაწეული ხარჯების მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის და ეფექტიანობის შეფასება. საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შესატანად წინადადებების მომზადება და წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად მერიასა და საკრებულოში წარდგენა წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ააიპებში რამოდენიმეჯერ.

2022 წლის 1 მარტიდან დაიწყო და მიმდინარეობს მუშაობა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

საჭირო ინფორმაციის შეკრება და დამუშავება ფინანსთა სამინისტროს მიერ მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების მოცულობათა შესაბამისად ხდება მუნიციპალური პროგრამების, საფინანსო გაანგარიშებების, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

მიმდინარეობს მუშაობა 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პრიორიტეტულ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გზამკვლევისა და ბიუჯეტის შესადგენად.

მ/წლის 1 ივნისს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა.

მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია სხვა ფუნქციების შესრულება, შემოსული კორესპოდენციებზე პასუხის გაცემა.

მომხსენებელმა დეტალურად გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის

ბიუჯეტის შესრულების, შემოსულობების, გადასახდელების ანალიზი; ასევე საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიში და ადგილობრივი მოსაკრებლის თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოები.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 6 თვის ანგარიში, ოქმს თან ერთვის.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ, შეფასდა დამაკმაყოფილებლად და მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის XXIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის Nგ-63.63220773 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 16 ივნისის N: 62-62221673, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის გ-63.63220773 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების მიხედვით, ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციას, ფასადების რეაბილიტაციას, ასევე მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობას, ქალაქ სამტრედიის იერსახის მოწესრიგებისათვის, განხორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საჭიროების შემთხვევაში, თანმდევნი ექსპერტიზით) დამზადებას უზრუნველყოფს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ, წარმოდგენილ უნდა იქნეს სამუშაოების განხორციელების თანხმობის შესახებ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი. დაფინანსება: 100% - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას: დავით ჯანელიძემ, ზაზა ადემიშვილმა, მანანა სირბილაძემ.

გამომსვლელებმა დავით ჯანელიძემ და ზაზა ადემიშვილმა, გამოთქვეს სურვილი, რომ მსგავსი 100%-იანი დაფინანსება განხორციელდეს არა გამოწვევის შემთხვევებში და მხოლოდ ქალაქის ცენტრში ან შემოსასვლელში არსებული საცხოვრებელი ბინებისათვის, არამედ ქონდეს მასიური სახე. ვინაიდან ძალიან

ბევრ საერთო საცხოვრებელში, ფაქტიურად ძალიან მცირე რაოდენობა ცხოვრობს.

მანანა სირბილაძე - საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ, ნებისმიერ პიროვნებასთან შეუძლია ამხანაგობის თავმჯდომარეს დაკავშირება. კეთილი ინებონ და გადაიხადონ ის მიზერული თანხები, რაც განკარგულებითაა გაწერილი. ნუ მივაჩნიეთ ეს ხალხი უპრინციპობას და უპასუხისმგებლობას.

ვაჟა სტურუა - მოგახსენებთ, რომ კონკრეტულად ამ შემთხვევებთან დაკავშირებით მერიაში შესწავლილია საკითხი, წლებია მიმდინარეობს თხოვნა, რომ ამხანაგობას აეკრიბა ეს თანხები და შემოსულიყო თანადაფინანსებით. ეს პროცენტი ვრცელდება მხოლოდ ერთეულ ბინებზე, გამონაკლისის სახით. საკითხი დგას ისე, რომ ძირითადად ქალაქის იერსახის მოწესრიგებას არ უნდა შეემალოს ხელი.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის Nგ-63.63220773 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის XXIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე, 91022.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.097) 20000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საფასურის დადგენის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 22 ივნისის N62-622217310, წერილობითი მომართვა**, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ **ბაშში მდებარე, 91022.00 კვ.მ** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.097) 20000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საფასურის დადგენის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 91022.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.097) 20000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასცეს ემელიანე კილაძეს.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 91022.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.097) 20000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაეცეს ემელიანე კილაძეს 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

- მიწის ნაკვეთის სარგებლობის ქირის საფასურად (ქირის ოდენობად) განისაზღვროს 350 (სამასორმოდცდაათი) ლარი.

- იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირა განაწილდება ყოველ თვეზე და ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშიში მდებარე, 91022.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.097) 20000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საფასურის დადგენის შესახებ.

დღის წესრიგის XXV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „2022 წლის განმავლობაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის „სოლო 423“-ის ბენეფიციარების მიერ ერთჯერადად უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, 2022 წლის 22 ივნისის

N62-622217319, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „2022 წლის განმავლობაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის „სოლო 423“-ის ბენეფიციარების მიერ ერთჯერადად უსასყიდლოდ სარგებლობის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად 2022 წლის განმავლობაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატი „სოლო 423“ ბენეფიციარების მიერ შესაძლებელია ერთჯერადად გამოყენებულ იქნეს უსასყიდლოდ.

- ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის „სოლო 423“-ის ბენეფიციარისათვის გადაცემის შესახებ, უნდა შედგეს წერილობითი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ ბენეფიციარმა, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი-438728708) დირექტორმა.

- ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის „სოლო 423“-ის ბენეფიციარის მიერ, სარგებლობის შემდგომ, დაბრუნების შესახებ უნდა შედგეს წერილობითი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ ბენეფიციარმა, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი-

აზრი გამოთქვას: ვაჟა სტურუამ, ნოე ივანიაძემ.

ვაჟა სტურუა - სოფლის მეურნეობა არის ის დარგი, რომელიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. ჩვენგან ხელსეწყობა აუცილებელია. მართალია ზოგიერთი მოწყობილობა გამოვიდა მწყობრიდან, ეს ისეთი ტექნიკური აპარატის, რომელსაც განსაკუთრებით ჭირდება მოფრთხილება. ამ ეტაპზე მიეცეს თანხმობა, რომ ამ სეზონზე გამოიყენოს ეს შესაძლებლობა უფასოდ, სოფლის გამგებელმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა უნდა მიაქციოს ყურადღება. და მომავალი წლიდან დაიგეგმოს აუდიტის სამსახურის მიერ, მათი აღწერა და კანონის შესაბამისად მოხდეს პრობლემის მოგვარება.

ნოე ივანიაძემ - ეს აპარატები არის საკმაოდ მაღალი ხარისხის გერმანული წარმოების სოლო აპარატები. სახელმწიფომ შეისყიდა და თვის დროზე თითოეულში გადაიხადა 1700 ლარი. ის ქონების სახით აწერია გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურს. ჩვენთვის ცნობილია, რომ დიდი ნაწილი დაზიანებულია და გამოსულია მწყობრიდან. რაც მეტწილად მოსახლეობის არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. პასუხისმგებლობა კი მთლიანად ეკისრება გამწვანება, კეთილმოწყობის სამსახურს. როდესაც სამსახური დაიბრუნებს ყველა აპარატს წლის ბოლოს, უნდა მოამზადოს მოხსენებითი ბარათი და მიმართოს მერიას. ამის შემდეგ ეცნობება ჩვენს სასმახურს, რომელიც უზრუნველყოფს აუქციონის წესით გაყიდვას.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, „2022 წლის განმავლობაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის „სოლო 423“-ის ბენეფიციარების მიერ ერთჯერადად უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ“.

დღის წესრიგის XXVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „ქალაქ სამტრედიაში, თაბუკაშვილის ქუჩა №29-ში, (ყოფილი ელიავას ქ. №26) მდებარე შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.51.179) პირველ სართულზე 185,82 ფართის და მე-2 სართულზე 306.02 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის“ (საიდენტიფიკაციო კოდი-412700439) გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ .

მომხსენებელმა გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, 2022 წლის 29 ივნისის N 62-622218062, წერილობითი მომართვა**, რომელიც ეხება, „ქალაქ სამტრედიაში, თაბუკაშვილის ქუჩა №29-ში (ყოფილი ელიავას ქ. №26) მდებარე შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.51.179) პირველ სართულზე 185,82 ფართის და მე-2 სართულზე 306.02 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „**ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის**“ (საიდენტიფიკაციო კოდი-412700439) გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის

საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, „ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის“, (საიდენტიფიკაციო კოდი-412700439) პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, თაბუკაშვილის ქუჩა №29-ში (ყოფილი ელიავას ქ. №26) მდებარე შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.51.179) პირველ სართულზე 185,82 ფართი და მე-2 სართულზე 306.02 კვ.მ ფართი.

აზრი გამოთქვეს: ღია მხატვარმა, გიორგი ლეჟავამ, ლელა ჩორგოლაშვილმა.

ღია მხატვარი - ა.(ა)ი.პ. „ხიდი სოციალური ინკლუზიისათვის“ გუნდი უკვე მე-10 წელია ემსახურება განვითარების რისკის, დამატებითი საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებს და მათ ოჯახებს. 2012 წლიდან მან ფუნქციონირება დაიწყო, როგორც „პირველი ნაბიჯი“-ს ქუთაისის ფილიალმა და 2014 წელს დამოუკიდებელი ორგანიზაცია გახდა. 2021 წელს ორგანიზაცია 600-მდე სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვს მოემსახურა ყოველთვიური სერვისებით. „ხიდი“ ასაქმებს სხვადასხვა დისციპლინის სპეციალისტს: განვითარების, კლინიკური და განათლების ფსიქოლოგებს, ენისა და მეტყველების თერაპევტებს, ქცევით თერაპევტებს, ადრეული დენვერის თერაპევტებს, პედიატრს, სენსორულ თერაპევტებს, ადრეული ასაკის მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტს, განვითარების სპეციალისტებს არტ თერაპევტს, სპეციალური განათლების პედაგოგებსა და სხვა. ორგანიზაციის მისიაა - საგანმანათლებლო, კვლევითი პროცესების, საზოგადოებრივი ინფორმირების, ხარისხიანი ფსიქო-სოციალური თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურებების შექმნა.

10 წლის განმავლობაში იმერეთის რეგიონისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტები, ინოვაციური ღონისძიებები თუ სერვისები განვახორციელეთ. მაგალითად:

1. სპეციალიზებული დღის ცენტრის პროგრამა.
2. ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა.
3. პოზიტიური ქცევის მხარდამჭერი სისტემის და სკოლამდელი ინკლუზიური განათლების დანერგვა.
4. აუტიზმის დიაგნოსტიკა.
5. აუტიზმის ინტერვენცია მრავალფეროვანი და საერთაშორისოდ აღიარებული თანამედროვე მიდგომების გამოყენებით.
6. მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობები.
7. საქველმოქმედო და ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები.
8. ტელეინტერვენცია, როგორც ინოვაციური მომსახურება.
9. ადგილობრივი პროფესიონალების გადამზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამები/ტრენინგები.
10. ა.(ა)ი.პ. „ხიდი სოციალური ინკლუზიისათვის“ აქტიურად თანამშრომლობს მის შვილობილ კლინიკა „მიელინთან“, რომელიც ფსიქოდიანგნოსტიკისა და

რეაბილიტაცია-აბილიტაციის მომსახურებაზე მუშაობს 2018 წლიდან ქუთაისსა და სამტრედიაში. ქ.სამტრედიაში „ხიდი“ და „მიელიმი“ ერთობლივად ახორციელებენ შემდეგ მომსახურებებს:

ა) ქცევითი თერაპია (ქცევითი აშლილობის ან აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის);

ბ) ენისა და მეტყველების თერაპია;

გ) ფიზიკური თერაპია;

დ) ფსიქოლოგის მომსახურება (კონსულტაცია/შეფასება, აბილიტაცია-რეაბილიტაცია).

ე) ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა (0-7 წლამდე განვითარების რისკის მქონე ბავშვებისათვის).

ქ.სამტრედიაში თავდაპირველად გვყავდა 40-მდე ბენეფიციარი. დღეის მდგომარეობით კი სამწუხაროდ, გვყავს 100-მდე ბენეფიციარი.

დღეისათვის ვართ კერძო სახლში, ნაქირავებში. ზამთარი ძალიან რთულად გადავიტანეთ. გვქონდა განაცხადი გაკეთებული დონორთან დაკავშირებით. მაგრამ გარკვეული პრობლემები შეგვექმნა იჯარის ვადასთან მიმართებაში. დონორისათვის მნიშვნელოვანია შენობა გვქონდეს გადმოცემული გაცილებით მეტი ხნით. სასურველია ვიმოქმედოთ ერთობლივად, ჩვენი და თქვენი იურისტების ჩართულობა აუცილებელია საკითხის უკეთ გადასაწყვეტად.

გიორგი ლეჟავა - მე და ქალბატონი ნათია გახლდით ამ ორგანიზაციის მიერ გამართულ ღონისძიებაზე. ვერ წარმოიდგენთ, როგორი კარგი და თბილი, ახალგაზრული კოლექტივია თავმოყრილი. მქონდა გასაუბრება მშობლებთან, წარმოუდგენლად კმაყოფილები არიან მათი შრომით და მომსახურებით. მადლობა მინდა ამ ახალგაზრდებს ვუთხრა. ჩვენი მხრიდან მაქსიმალური ყურადღება და მხარდაჭერა გამოვხატოთ მათ მიმართ. აუცილებელია ამაღლდეს ამ ორგანიზაციის ცნობადობა და მოხდეს მათი პიარი. ვინაიდან ბოლომდე იქნას შესწავლილი და გამოვლენილი მსგავსი შეზღუდვების მქონე ბავშვები, რათა გაეწიოთ შესაბამისი დახმარება.

ლელა ჩორგოლაშვილი - პირველ საჯარო სკოლაში დღეის მდგომარეობით გვყავს 22 შ.შ.მ.პ. ძალიან დიდ სირთულეებს ვხვდებით. ეს გამოწვეულია და განპირობებულია ძირითადად იმით, რომ ადრეული ასაკიდან არ დაიწყო ამ ბავშვების დიაგნოსტიკა და შესაბამისად მათი თერაპიული რეაბილიტაცია. თუ ეს ადრეული ასაკიდან დაიწყება და ადრე გამოვლინდება შესაბამისად შედეგები გაცილებით უკეთესი გვექნება. მშობლებს ბავშვები ქუთაისში დაჰყავთ სარეაბილიტაციო ცენტრებში. თუ ასეთი მომსახურება ადგილზე, ჩვენს მუნიციპალიტეტში იქნება, ეს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს ფინანსურ ტვირთს მოსახლეობას.

ვაჟა სტურუა - დიდი მადლობა თქვენს ორგანიზაციას ასეთი კარგი საქმის კეთებისათვის. აუცილებელია ეს ჩვენი მომავალი თაობისათვის და იმ სოციალური ფენისთვის, რომელსაც ჭირდება ეს დახმარება. ჩემი თხოვნა იქნება საბავშვო ბაღებთან გქონდეთ მჭიდრო კავშირი. ისეთი სოციალური ფენა არის, რომელსაც ნაკლებად აქვს წვდომა ქალაქთან, დარწმუნებული ვარ (თუმცა სამწუხაროა) გაცილებით მეტი იქნება ბენეფიციარი. რაც შეეხება ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა. მინდა ავლნიშნო რომ კანონი ამ ეტაპისთვის ორ წელზე მეტ საშუალებას არ იძლევა. თუ ეს იქნება დამაბრკოლებელი დონორთან ურთიერთობაში, შესაძლებლად მიმაჩნია

ხემძღვანელობის მომართვის საფუძველზე, გადაიხედოს და კანონის შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს განკარგულებაში.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (26 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, „ქალაქ სამტრედიის, თაბუკაშვილის ქუჩა №29-ში, (ყოფილი ელიავას ქ. №26) მდებარე შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.51.179) პირველ სართულზე 185,82 ფართის და მე-2 სართულზე 306.02 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის“ (საიდენტიფიკაციო კოდი-412700439) გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ .

დღის წესრიგის XXVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძე, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა გააცნო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 11 თებერვლის NGOV 4 22 00004262 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას. შესაბამისად განხორციელდა სამართლებრივი ექსპერტიზა საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N25-31 დადგენილებებზე, რა დროსაც გამოვლინდა ხარვეზი.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებ-პორტალი, ვებგვერდი, 05/02/2018. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250040.35.120.016273) დამტკიცებულ, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, მისი თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების, მისთვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არც ერთი მოადგილე არ არის არჩეული ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეთა მიერ უფლებამოსილების განხორციელება შეუძლებელია, მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს საკრებულოს უხუცესი წევრი“.

-რეგლამენტის მე-17-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

1. საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირისა), საკრებულოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში და წესით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან უნაზღაურდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯები.
2. დაუშვებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის (გარდა თანამდებობის პირისა) ხარჯების ანაზღაურება პრემიებისა და დანამატების სახით“.

-რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საკრებულოს წევრი, (გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა) ვალდებულია იყოს ერთი, მაგრამ არაუმეტეს ორი კომისიის წევრი. საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 28-ე მუხლის 2² პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის/კომისიების შემადგენლობაში, მაგრამ ჯამში არაუმეტეს ორისა.“.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26 -მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ერთმა წევრმა, კობა ძიძიგურმა.) დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

სხდომის დასასრულს, საკრებულოს წევრებს განცხადებით მიმართა, ზაზა ადეიშვილმა. განმცხადებელმა აღნიშნა - მინდა შევუერთდე ყველა ჩვენთაგანის მილოცვას და წარმატებები ვუსურვო ჩვენს სასიქადულო სპორტსმენებს. თუ რამე გვაკლია ჩვენ დღეს თანამედროვე საქართველოში, ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემაა და მეორე, განათლება. ასეთი პოზიტიური სხდომა თითქმის არ გვქონია. განსაკუთრებით სპორტსმენებიდან იმდენი სასიხარულო თემა წამოვიდა, ვიცი, რომ საკითხს რომელსაც ეხლა ვიტყვი ასჯერ მაქვს ნათქვამი, ყველა თქვენგანი თანამოაზრეა, გულშემატკივარი და გვერდზე მდგომია, მაგრამ ამ თანამოაზრობამ და გულშემატკივრობამ, ორი მოწვევის საკრებულოში, შედეგი არ გამოიღო. საუბარი მაქვს სამტრედიაში სპორტის სასახლის აშენებაზე. ყველა სხდომაზე ჩემს გამოსვლას დავიწყებ და დავამთავრებ ამ მოთხოვნით. ეს კი არ ააშენებს სპორტის სასახლეს, მაგრამ მგონია და იმედი მაქვს მაჟორიტარობის ჩემი მესამე ვადა, ისე არ მინდა დამთავრდეს, რომ ამ საკითხს წერტილი არ დაესვას. დღესვე შეიძლება დავიწყოთ, თუნდაც პირველი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით. ამ კარგი საქმის გასაკეთებლად მინდა ჩავერთოთ ყველა,

ადგილობრივი და თუნდაც ქვეყნის მასშტაბით.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია დოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

